



## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 296

ქალაქი ქუთაისი 31 აგვისტო 2016 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის № 115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე-დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

**მუხლი 1.** „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №115 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხას დაემატოს №704 – №712 პუნქტები თანდართული რედაქციით.

/დანართი განკარგულებას თან ერთვის/

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხიდან ამოღებულ იქნეს № 651 პუნქტი.

**მუხლი 2.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრამის ქუჩა № 11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და  
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნ უ ს ხ ა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგისტრაციო ნომერი
1	2	3	4	5
704	მიწის ნაკვეთი	მესხის ქუჩა №1ა-ს ჩრდილოეთით	200.0	03.01.23.463
705	მიწის ნაკვეთი	შარტავას ქუჩა №2-38-ის სამხრეთით	72.0	03.01.24.649
706	მიწის ნაკვეთი	ახალგაზრდობის გამზირი №25ა-ს ჩრდილო-აღმოსავლეთით	175.0	03.06.25.543
707	მიწის ნაკვეთი	ორახელაშვილის ქუჩა №16-ის ჩრდილო-აღმოსავლეთით	158.0	03.01.24.648
708	მიწის ნაკვეთი	ნიკვას ქუჩის მე-3 ჩიხის №5-ის სამხრეთ-აღმოსავლეთით	1190.0	03.05.22.596
709	მიწის ნაკვეთი	ნიკვას ქუჩის მე-2 შესახვევის №18-ის სამხრეთით	1530.0	03.05.23.337
710	არასაცხოვრებელი ფართი	შოთა რუსთაველის გამზირი №8/ფალიაშვილის ქუჩა №2	2419,2 მიწა 1020.55 არასაცხოვრებელი ფართი	03.03.01.259.01.518
711	შავი ლითონი (შერეული)	მეორადი ნედლეული (ჯართი)	2800 კგ.	-
712	შენობა-ნაგებობა	გრიშაშვილის ქუჩის II შესახვევი №8	2148.0 მიწა 523.26 შენობა	03.04.25.225

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი